ლამპარი

ცალკე ნომერი 3 კაპ.
თფილისი
შაბათი, 13 (26) მაისი.
1906
წელიწადი პირველი.
№ 19
ყოველ-დღიური გაზეთი.
№ 19

სოციალდემოკრატებმა გაიმარჯვეს!

„ლამპრის“ რედაქციას პოლიცია ეწვია.

რადგან გუშინ პოლიციამ მუშაობაში ხელი შეგვიშალა, ამის გამო იძულებული გავხდით გაზეთი ნახევარი ნომერი გამოგვეშვა.

სოციალდემოკრატიის გამარჯვება

10 მაისს არჩევნებზე თფილისში შესანიშნავი, საუცხოვო გამარჯვება მოიპოვა სოციალდემოკრატიამ. 80 ამომრჩევლიდან 71 სოციალდემოკრატია არჩეული, მხოლოდ 9 კადეტი. დანარჩენ პარტიებმა მიწა ალოკეს. მთელ თფილისში საარჩევნო ხმა მიიღეს (რგვალი ციფრები): პატრიოტებმა 600; წესიერების და ხაზეინების პარტიამ 500; ბლოკმა (ქართველი დემოკრატები, რადიკალები, ს.-ფედერალისტები) 800; კადეტებმა 1600; სოციალდემოკრატებმა 800).

პატრიოტების პოლიტიკური არსებობა ჩვენში მუდამ ყოფილა არარაობა და მათ ასეთივე მსჯავრი დასდო არჩევნებმა; წესიერების და ხაზეინების „პარტია“ დაიბადა მხოლოდ 10 მაისს, დილის 9 საათზე და სული განუტევა იმავე საღამოს 9 საათზე. კადეტები თავიანთ დამარცხებით მაინც და მაინც ძალიან არ უნდა იყვნენ დამწუხრებულნი: იმათ არაფერი დაუთესიათ და არაფერი არც მოუმკეს; სანუგეშებლათ მაინც დარჩათ 9 ამომრჩეველი, რომელთა არსებობა გასტანს 26 მაისამდე, მანამდე ისინი აქაურ კადეტების ამბავს წაუღებენ რუსეთის გალაღებულ კონსტიტუციონ-დემოკრატების პარტიას და ეტყვიან, რომ მათი კავკასიელი სექცია დაიბადა ვითარცა კვამლი და განქრა, ვითარცა კვამლი. ყველაზე უფრო მწარე და უნუგეშო ბედი ხვდა ბლოკს, სამ შეერთებულ „პარტიას“. ეს სრულებით წელმოწყვეტილი გავიდა საარჩევნო ბრძოლის ველიდან. სოც.-ფედერალისტები ვერ იხსნა იმ გარემოებამაც, რომ იგი სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ საბრძოლველათ ორ სხვა ბურჟუაზიულ „პარტიას“, დემოკრატებს და რადიკალებს გაუამხანაგდა. რამდენათაც მეტს ხმაურობდა ბლოკი, იმდენათ უფრო სასტიკი იყო მისი დამარცხება. ალბათ იმიტომ, რომ სოც.-ფედერალისტებმა არჩევნების დროს სავსებით გადაუშალეს ხალხს მთელი თავისი ნამდვილი ვინაობა. არჩევნებამდე კიდევ ბევრი გულ-უბრყვილო ადამიანი ფიქრობდა, რომ სოც.-ფედერალისტებიც მებრძოლი სოციალისტური პარტია იყო, მაგრამ როცა მათ ბლოკის საშუალებით მოიწადინეს სოციალდემოკრატიის კანდიდატების დამარცხება და ბურჟუაზიული კანდიდატების გაიეთრება, აქ, რა თქმა უნდა, საეჭვო აღარაფერი იყო; ს.-ფედერალისტებმა თავიანთ უნებურათ პირბადე აიხადეს და ხალხმაც მათ საკადრისი მსჯავრი დასდო. ბლოკის სამმა პარტიამ მიიღო სულ 828 ხმა. ასე რომ ს.-ფედერალისტების წილათ მოდის რაღაც ორას ნახევარი ხმა, და მის მიერ დასამარცხებელ პარტიამ კი (ს.-დ.) 8,388 ხმა.

დიახ, სოც.-დემოკრატია, რომლის დამარცხებას ეს რამდენიმე თვეა უკვე წინდაწინვე დღესასწაულობდენ ყველა ბურჟუაზიული პარტიები, სოციალდემოკრატია ბუმბერაზათ გამოვიდა არჩევნებიდან, და მით ერთბაშათ დათრგუნა სახალხო მანტიაში გამოხვეულ ბურჟუაზიულ პარტიების უმზგავსო ყოყოჩობა და უმზგავსო ლითაიები. ეს პარტიები საეჭვოთაც კი არა ხდიდენ სოციალდემოკრატიის დამარცხებას, ისინი დღეგნებით გაჰყვიროდენ, რომ ხალხმა ზურგი აქცია, ხალხი ჩამოშორდა სოციალდემოკრატიის და ეხლა ვითომ გაფაციცებით ეძებს ახალ მეთაურებს და ხელმძღვანელებსო; მათი აზრით ხალხის არჩევანი უნდა რგებოდა ერთ-ერთ ბურჟუაზიულ პარტიას და ამიტომ თვითოეული მათგანი მოუთმენლათ ემზადებოდა, ოჩოლ ფეხებზე დგებოდა, იბერებოდა, რომ ქვეყანას სახალხო პარტიათ მოსჩვენებოდა და ამ რიგათ თვითონ დაეჭირა სოციალდემოკრატიისგან ვითომდა მიტოვებული ასპარეზი, და მით განემტკიცებინა გაბატონებულ ბურჟუაზიულ კლასების ბატონობა და მშრომელი ხალხის დაჩაგრულობა. მაგრამ როცა ბურჟუაზიული პარტიები ამ „საგმირო“ საქმეებს ეძლეოდენ, ჩვენი პარტია მხნეთ განაგრძობდა თავის გზას; იგი დაუცხრომლივ ძალ-ღონეს იკრეფდა, ფართოვდებოდა, ძლიერდებოდა და მოწინააღმდეგე პარტიებს საკადრისს შეხვედრას უმზადებდა.

ბურჟუაზიული პარტიები საარჩევნო „რაზგრომისაგან“ ვერ იხსნა იმ გარემოებამაც, რომ მათ კანდიდატებათ წამოყენებული ჰყავდათ სულ „ბრწყინვალე“ პირები: ეგრეთ წოდებული „ცნობილი საზოგადო მოღვაწენი“, „ნასწავლ-განათლებულნი“, დიპლომიანები. ხალხმა გააშავა ყველა ეს „სხივოსანი“ გვამნი და გაათეთრა მასთან შეზრდილნი, მისი ჭირ-ვარამის თანამოზიარენი, მისი მეგულისპასუხე და მესაიდუმლენი, ხალხმა წინ წამოაყენა ჭირში და ლხინში გამოცდილი თავისი პარტია; შეურყეველი ნდობა და ერთგულება გამოუცხადა სოციალდემოკრატიას; მაღლა ასწია ბრძოლის ქარ-ცეცხლში გამოტარებული მისი ბაირაღი. ხალხმა გააშავა და უკუაქცია ყველა ბურჟუაზიული პარტიები, რადგან ამათი ბრძოლის ერთათ ერთი ფარხმალი არის სიტყვები, გაბერილი სიტყვები. ეს პარტიები კი სახუმროთ არ ემზადებოდენ გამარჯვების სადღესასწაულოთ. „**а счастье было такъ близко, такъ возможно!**“ და ეს იმიტომ, რომ რუსეთში არჩევნებზე შესანიშნავათ გაიმარჯვეს კადეტებმა. საბრალო ჩვენებურ ბურჟუაზიულ პარტიებს ავიწყდებოდათ, რომ იქ კადეტების გამარჯვების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ სოციალდემოკრატიას იქ არჩევნებში არსად არ მიუღია ჯეროვანი და საერთო მონაწილეობა (ბოიკოტის ტაქტიკის გამო) და ამიტომაც იქაურ არჩევნებს არ შეიძლებოდა დაახლოებით მაინც გამოეხატა საზოგადოებრივ ძალთა რეალური განწყობილება. ტფილისი პირველი მაგალითია, რომ სოციალდემოკრატიამ არჩევნებში თავიდანვე მიიღო მხურვალე და საერთო მონაწილეობა. და პირველივე ცდა ასე სანაქებოთ დაგვირგვინდა. თფილისის არჩევნების შედეგი მეტათ დიდ მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ ეს, სხვათა შორის, მართალია არაპირდაპირათ, მოწმობს, თუ რა დიდი ძალა აქვს სოციალდემოკრატიას თვითონ რუსეთში. სოციალდემოკრატიის დეპუტატი კავკასიის სატახტო ქალაქიდან, ამ უტყუარ ფაქტს აუწყებს სახელმწიფო დუმას და მით ძალის მხნეობას, ბრძოლის ენერგიას შთაბერავს დუმის ოპოზიციას. ჩვენი პარტიის დეპუტატები თვალის მომჭრელ ელვის სინათლეს მოფენენ დუმის საქმეებს; ისინი ყოველ ნაბიჯზე, ყოველ სიტყვაზე კრიჭაში ედგებიან ყველა ბურჟუაზიულ დეპუტატებს და უმალვე პირბადეს ჩამოგლეჯენ იმათს ორპირობას, მოქალაქობრივ ლაჩრობას და პოლიტიკურ უილაჯობას. ჩვენი პარტიის დეპუტატები ჭეშმარიტი მებაირაღტრე გახდებიან დუმის ნამდვილ ოპოზიციის მუშების და გლეხების „შრომის ჯგუფის დეპუტატების“; იგინი ამ ოპოზიციას გააფართოვებენ, გააძლიერებენ და მით მთელ სახელმწიფო დუმას სათანადო მსვლელობის გზას უჩვენებენ. დუმის საქმეთა ასეთი ატრიალება მაღლა ასწევს განმანთავისუფლებელ მოძრაობის ტალღებს დუმის გარეთაც; ამ რიგათ, სოციალდემოკრატია კვლავ სათავეში ედგება მთელ მოძრაობას, როგორც დუმაში, ისე დუმის გარეთ და დღევანდელ რევოლიუციას გზას უჩვენებს გამარჯვებისკენ და მედგრათაც გააქანებს ამ მიზნისაკენ.

მაშ გაცრუებულა ბურჟუაზიულ პარტიების იმედები, რომელნიც გაუთავებლივ გაჰყვიროდენ, რომ რუსეთში რევოლიუცია და სოციალდემოკრატია დამარცხდა, დამარცხდა დიდი ხნობითო; რომ ეხლა დაგვრჩენია მშვიდობიანი საპარლამენტო მოქმედება (არ არსებულ პარლამენტში) ე. ი. მოქმედება თანახმათ 20 თებერვლის აქტების და ბიუროკრატიის უკანასკნელ, 25 აპრილის „კონსტიტუციისა“. არჩევნების შედეგი ერთხელ კიდევ ნათელ ჰყოფს, რომ ხალხი ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობას და მის კანონებს არ შეურიგდება არა და არა.

გაცრუვდა თვითმპყრობელი მთავრობის იმედები. მთავრობის გააფთრებული რეაქცია ზარბაზნებით და „პულემიოტებით“ ანგრევდა რევოლიუციის მესვეურს სოციალდემოკრატიას; ახრჩობდა და ხვრეტდა ჩვენი პარტიის მებრძოლთ, შორეულ ქვეყნებში ასახლებდა და ატუსაღებდა ჩვენს პროპაგანდისტებს და აგიტატორებს, მაგრამ ჩვენი პარტია არ მარცხდებოდა, პირ-იქით, უფრო კიდევ ფართოვდებოდა, ძლიერდებოდა შეუჩერებლივ ისწრაფოდა წინ, მუდამ წინ. თვითმპყრობელობის ჯალათურ ბარბაროსობამ ხალხს გულიდან ვერ ამოგლიჯა თავისუფლებისადმი ცხოველი სიყვარული, ადამიანურ ცხოვრებისადმი განუდრეკელი მისწრაფება; მან კიდევ უფრო განუმტკიცა ბრძოლის ენერგია.

ათი მაისის არჩევნებმა ნათელ ჰყო, რომ ჩვენი ხალხი შეურყეველის ერთგულებით შერჩა განმანთავისუფლებელ მოძრაობას და მის მეთაურ-ხელმძღვანელ სოციალდემოკრატიას. არჩევნების შედეგმა ნათელ ჰყო, რომ ხალხი არაოდეს არ შეურიგდება ბურჟუაზიულ პარტიების თვითმპყრობელობასთან კომპრომისებს, რომ ხალხს სწყურია დაწყებული ბრძოლის დამთავრება, მიმდინარე რევოლიუციის სრული გამარჯვება, და არც დასცხრება, ვიდრე ძველი რეჟიმის სახსენებელი ძირიანფესვიანათ არ ამოვარდება, ვიდრე არ დამყარდება სახელმწიფოს ნამდვილი სახალხო მართვა-გამგეობა, სრული დემოკრატიული კონსტიტუცია, ნამდვილი სახალხო თავისუფლება და ვიდრე სოციალ-ეკონომიურ სფერაშიაც მშრომელი ხალხი არ მოიპოვებს იმას, რაც მას სამართლიანათ ეკუთვნის.

10 მაისის არჩევნების შედეგი სიბრაზით დაკრუნჩხავს ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობას; გლოვის და შიშის წუხილს და დრტვინვას შეიტანს მდიდართა დარბაზებში, ხოლო არჩევნების ესავე შედეგი სიხარულსა და აღფრთოვანებას მოჰფენს მშრომელთა კერას; აქ განამტკიცებს ბრძოლის ენერგიას და განაცხოველებს რწმენას საბოლოო გამარჯვებისას.

თფილისს უკან არ ჩამორჩენია ქუთაისიც. იქაც არჩეულია სოციალდემოკრატიის ყველა კანდიდატები. ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებშიაც უმეტესი პროცენტი არჩეულია სოციალდემოკრატები!

ვაშა, ვაშა თფილისის და მთელ კავკასიის ხალხს, რომელიც ერთგულათ შერჩა სოციალდემოკრატიას, ერთგულათ შერჩა რევოლიუციას! ვაშა, ვაშა კავკასიის სოციალდემოკრატიას!

გაუმარჯოს რუსეთის იმპერიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!

გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას!

სალამი არჩეულ სოციალდემოკრატებსაც!

არჩევნების შედეგები ქ. თფილისში.

პირველ უბანში:

მიიღეს სოციალდემოკრატებმა	1302	ხმა
— კადეტებმა	232	—
— სამ შეშარცხ. პარტ. ბლოკმა	169	—
— პატრიოტებმა	320	—

მეორე უბანში:

მიიღეს სოციალდემოკრატებმა	438	ხმა
— კადეტებმა	110	—
— ბლოკმა	118	—
— პატრიოტებმა	60	—

მესამე უბანში:

მიიღეს სოციალდემოკრატებმა	189	ხმა
— კადეტებმა	142	—
— ბლოკმა	94	—
— პატრიოტებმა	23	—

მეოთხე უბანში:

მიიღეს სოციალდემოკრატებმა	248	ხმა
— კადეტებმა	286	—
— ბლოკმა	73	—
— პატრიოტებმა	39	—

მეხუთე უბანში:

მიიღეს სოციალდემოკრატებმა	443	ხმა
— კადეტებმ,	335	—
— ბლოკმა	30	—
— პატრიოტებმა	16	—

მეექვსე უბანში:

მიიღეს სოციალდემოკრატებმა	298	—
— კადეტებმა	28	—
— ბლოკმა	8	—
— პარტიის გარეშეებმა	79	—
— პატრიოტებმა	1	—

მეშვიდე უბანში.

მიიღეს სოციალდემოკრატებმა	1355	ხმა
— „ხოზიაისტვ. კავშირმა	270	—
— პატრიოტებმა	82	—

მერვე უბანში.

მიიღეს სოციალდემოკრატებმა	445	ხმა
— კადეტებმა	37	—
— ბლოკმა	33	—
— პატრიოტებმა	86	—

მეცხრე უბანში

მიიღეს სოციალდემოკრატებმა	1217	ხმა
— კადეტებმა	242	—
— ბლოკმა	165	—
— პატრიოტებმა	100	—

მეათე უბანში

მიიღეს სოციალდემოკრატებმა	2352	ხმა
— კადეტებმა	134	—
— ბლოკმა	160	—
— პატრიოტებმა	92	—
— რუსთა კავშირმა	213	—

ამნაირათ ოთხმოც ამომრჩეველთაგან არჩეულ იქნა 71 **სოციალდემოკრატი** და 9 **კადეტი** (სოლოლაკში).

ახალი ამბები

◆ გუშინ, 12 მაისს, დილის 11 საათზე „ლამპარი“-ს რედაქციას (ნიკოლოზის ქ., № 39) თავს დაესხა მე-9 უბნის ბოქაული, მისი თანაშემწე და გოროდოვოი. მოითხოვეს გაზეთის გამოცემის ნებართვა. რედაქცია გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს; თანამშრომლები და შემთხვევით იქ მყოფი პირები გადაწერეს და წავიდენ.

◆ თფილისის მაზრის წვრილ და მსხვილ მემამულეთა სიეზდზე ამომრჩევლებათ აირჩიეს გლეხი ივანე მაისურაძე (30 ხმით—15 წინააღმდეგ) და ო. ბარათოვი (26 ხმით—19 წინააღმდეგ) მაისურაძე სოციალდემოკრატია, ბარათოვი—ქართველი დემოკრატი.

◆ 11 მაისს, საღამოზე თფილისის ზოგიერთ ქუჩებსა და უბნებში ჩხრეკა გაახშირეს. სხვათა შორის გაჩხრიკეს რამდენიმე სახლი ავჭალის ქუჩაზე; პირველათ აქ გაჩხრიკეს აფიცერ ცაგარლიშვილის სახლები.

◆ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ დუშეთის მოქალაქეს ალექსანდრე ბარათოვს სრულებით უსაფუძვლოთ აბრალებენ ჯაშუშობას. ბარათოვი დღემდინაც სოციალდემოკრატიის მომხრეა.

◆ გუშინ, 12 მაისს, ვეტცელის თეატრში გაიმართა წარმოდგენა გიმნაზიელების მეთაურობით. წარმოდგენას ცეკვა-თამაში მოჰყოლია. იქ მყოფ მუშებს არ მოსწონებიათ გიმნაზიელების პრანჭვა-გრეხა და სიცილი დაუწყიათ. გიმნაზიელებს უცემიათ მუშებისათვის.

◆ გუშინ ნაძალადევში მოვიდა ერთი დიდუბელი **ანანია გათენაშვილი**. ის „კომიტეტს“ ეძებდა. გათენაშვილს წერილი მისვლია: რადგანაც სოფლის საწინააღმდეგო საქმეებს ჩადიხარ, კომიტეტმა შენი დასჯა გადაწყვიტაო. ასეთი ბოროტ-მოქმედება ხშირი მოვლენაა და საწყალ კაცს სისოცხლეს უმწარებენ; ჩვენ, თფილისის მუშები, ვაფრთხილებთ იმ ვაჟბატონებს, რომლებიც პარტიის ორგანიზაციის სახელით ასე უსინდისოთ სარგებლობენ და უბრალო ხალხს აფრთხობენ.

თფილისის მუშები.

◆ 10 მაისს გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დახურეს სოციალდემოკრატიული გაზეთი „Волна“. გაზეთის სულ 2 ნომერი გამოვიდა. რედაქტორ-გამომცემელს მიხილ ნასიძეს წინადადება მიეცა სამი დღის განმავლობაში დატოვოს თფილისის საგენერალ-გუბერნატოროს საზღვრები.

◆ არჩევნებისთვის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის თფილისის კომიტეტმა შემდეგი მოწოდება გამოსცა: „მოქალაქენო! ნუ მიიღებთ მონაწილეობას არჩევნებში. ნუ მიდიხართ საარჩევნო ყუთებთან. განა შეიძლება მათრახებით და ხიშტებით გალახულმა ადამიანმა არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს, იბრძოლეთ დამფუძნებელი კრებისათვის! ძირს ხალხის წარმომადგენლობის აჩრდილი! გაუმარჯოს შეიარაღებულ აჯანყებას“!

◆ 10 მაისს, შუადღის 12 საათზე მე-10 საპოლიციო უბანში, რკინის გზის ხიდის ყურთან, ვიღაც უცნობი დაეწია ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის თანაშემწეს, **ლეფევრს, და რევოლვერით სასიკვდილოთ დასჭრა.** ლეფევრი იქვე გარდაიცვალა. მკვლელი მიიმალა.

◆ ყვირილიდან გვწერენ: ყვირილის ზოგიერთ ვაჭრებს თხოვნა მიუციათ ადგილობრივ მაზრის უფროსისთვის, რომ იშუამდგომლოს და **სამხედრო წესები არ გააუქმოს.** მაზრის უფროს დახმარება აღუთქვამს.

◆ ჩვენ შევიტყვეთ, რომ პოლიციის შეუპყრია რამდენიმე კაცი, რომელთაც **დუშეთის ხაზინის გაძარცვაში** მონაწილეობის მიღებას აბრალებენ. აი ამათი სახელი და გვარი: კონსტანტინე ციმაკურიძე, ივანე აზატოვი, არტემ ჩიქოვანი, გიორგი კიკნაძე, ალაბიძე და ნესტორ გელოვანი. ესენი პოლიცმეისტერის კანცელარიაში მოსამსახურე მონასტირსკის დაუპატიმრებია მცხეთაში. დაპატიმრებულნი თფილისში ჩამოიყვანეს.

◆ თფილისის პოლიცმეისტერის თანაშემწე ბ-ნი მანდრიკინი ინიშნება **გლეხთა საქმის საკრებულოს წევრათ.** მანდრიკინის ადგილზე ინიშნება პოლიცმეისტერის კანცელარიის მმართველი მიხილ კურისი. ამ უკანასკნელის ადგილზე კი ბ-ნი ჩეფრანოვი.

◆ 10 მაისს, დილის 3 საათზე მიხეილის პროსპექტზე **რამდენიმე შეიარაღებული კაცი** თავს დაესხა მელქო იკიბაბაოვს. ბოროტ-განმზრახველნი ჟანდარმებისა და კაზაკების ტანისამოსში იყვნენ გადაცმულნი. როდესაც სახლის პატრონს მათთვის კარები გაუღია, განუცხადებიათ—სახლის გასაჩხრეკათ მოვედითო. გაუჩხრეკიათ სახლის ყოველი კუნჭული, ძალით გაუღებინებიათ კასსა და წაუღიათ ათას მანეთამდე და აზოვ-დონის 1500 მანეთიანი ბილეთი. შემდეგ უგზო-უკვლოთ მიმალულან.

◆ 11 მაისიდან თფილისის დასის მსახიობთა ამხანაგობა „ახალი დასისა“, მიემგზავრება პროვინციებში. წარმოდგენებს გამართავენ ქ. გორში, ღ. ჭიათურას, ქ. ბათუმს, ფოთსა და სოხუმში. წარმოდგენილი იქნება შემდეგი პიესები: „პირველი მერცხალი“, „ხალხი“, „მეზობლები“, „**ლასალი**“ და სხ. დასში მონაწილეობენ: ქ-ნნი იურკევიჩისა, მდივანი, ნებიერიძისა, ჯავახიშვილისა. ბ.ბ. ბარველი, ბაქრაძე, გვარამაძე, დადიანი, მუმლაძე, ურუშაძე, შალიკაშვილი და სუფლიორი ბეჟ[illegible]რიძე. გორის წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს **ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი.** წარმოდგენილი იქნება „**ცხოვრების გმირი**“, დრამა კარაევისა და „**არიე-დარია**“ კომ. 1 მოქ.

დ ე პ ე შ ა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი. სალამი ბრწყინვალეთ გამარჯვებულ ამხანაგებს! გაუმარჯოს კავკასიის პროლეტარიატს! „ნევსკაია გაზეტა“ რედაქცია, სახელმწიფო სათათბიროს წევრები: საველიევი, ვარლოვი, დადენკო, მიხაილჩენკო, ამხანაგების მაგივრათ მარტინოვი.

ქუთაისი. 9 მაისს ქუთაისის არჩევნები გათავდა სოციალდემოკრატების სავსებით გამარჯვებით: 1760 ხმით [illegible] მიიღო ივ. გომართელმა

1057, სერგო ჯაფარიძემ—1025, ნიკ. მაჭავარიანმა—995, ზ. ღონღაძემ—993. არჩევნებმა მშვიდობიანათ ჩაიარა. მოწინააღმდეგე პარტიები გაითროტებული არიან.

ქუთაისი. სამტრედიის მემამულეთა საარჩევნო კრებას 800 კაცი დაესწრო სულ 3342 ხმა მისცეს. აირჩიეს 225 **რწმუნებული სოციალდემოკრატები.**

თელავი. გლეხთა რწმუნებულებათ სამაზრო კრებაზე აირჩიეს გიო ლაზარაშვილი და მიხა ჰაიჭაძე; მიწათ-მფლობელთა კრებამ—შაქრო რუხლეიშვილი და გიო ხუროშვილი. **ყველა სოციალდემოკრატები.**

ქუთაისი, ქუთაისის ხალხის ინტერესების „დამცველებმა" მოახერხეს და უკანონოთ აღიარეს სამტრედიის არჩევნები. დღეისთვის დანიშნული სამაზრო არჩევნები აღარ მოხდება. ხალხი ძალიან აღელვებულია, რომ უხდებათ აგერ მესამეთ აირჩიონ წარმომადგენლები ასეთ მუშაობის დროს. აი შედეგი გალიბერალებული ბიუროკრატების მოქმედებისა მოწინააღმდეგე პარტიებში.

სათათბიროს არჩევნები

რაჭა. არჩევნების პირველ ხანებში რაჭაც, როგორც ზოგიერთი სხვა მაზრები გუბერნიისა, თანახმად ს.-დ. ორგანიზაციების გადაწყვეტილებისა, ბოიკოტის გზას დაადგა. პირველ დანიშნულ საზოგადო საარჩევნო ყრილობებზე ბევრი არავინ მიკარებია და ვინც მივიდა, იმანაც სასტიკათ გაკიცხა მთავრობის ვერაგული მოქმედება. „ვინ უნდა ამოვირჩიოთ ჩვენ ასეთ დროს, რომ ჩვენი ინტერესები დაიცვასო", ამბობდენ გლეხები. ამნაირათ გლეხები უარს აცხადებდენ არჩევნებზე. ასეთი მოქმედება გლეხებისა ემწუთხა თურმე ადგილობრივ ადმინისტრაციას. არჩევნები მეორეთ დაინიშნა. მეორეთაც პირველი მოქმედება განმეორდა. ახლა კი გაბრაზდა ადმინისტრაცია; „როგორც ჩანს ისინი (გლეხები) აღარ ხუმრობენ, ერთი კარგი გაკვეთილი კიდევაა საჭიროო" და ბოიკოტს ცეცხლითა და მახვილით გასცა პასუხი—ორ საზოგადოებაში 13 მოსახლე გადაბუგა (ეს ბოიკოტი იყო უმთავრესი მიზეზი იმ წვა-დაგვისა, რომელიც მეორედ მოახდინა მან რაჭაში—პატარა ონის და ბუგეულის საზ., რადგან არჩევნები პირველად აქ ჩაიშალა) და ამნაირათ „გონზე მოსულ" გლეხებს მესამეთ დაუნიშნა არჩევნები. მაგრამ ახლა იმდენი თავის შეწუხება არ დასჭირვებია, რადგან თვით ორგანიზაციებმა მოხსნეს ბოიკოტი დუმას. ხალხმაც მონაწილეობა მიიღო არჩევნებში და რწმუნებულებათ დიდი უმრავლესობა სოც.-დემოკრატები გაიყვანა. მიაწია ამ ამბავმა მათ ყურამდე და შეუდგა ს.-დემ. გადაყენებას, რისთვისაც შარი მოუდვა, არჩევნები უკანონოთ გამოაცხადა—ფარული კენჭის ყრით არ მომხდარაო" და მეოთხეჯერ დანიშნა არჩევნები. დანიშნულ დღისთვის თავიანთ საიმედო პირებს გამოატანა ყუთები კენჭებით და საგანგებო მონდობილობით, რამე გზით თავიანთი—ხულიგანები გაეყვანათ. მაგრამ არც ამ ოინმა გასჭრა და ხალხმა ისევ პირველათ არჩეულები აირჩია, გარდა ორიოდე ჩამორჩენილ საზოგადოებისა, სადაც მათმა კაცებმა მართლაც ხულიგანები გაიყვანეს. ყურად იღეს მათ ყოველივე ესე და უკანასკნელ ზომას მიმართეს, რომ სამაზრო კრებაზე მაინც ამრჩევლებათ უსათუოდ თავიანთები გაეყვანა და კიდეც დააგვირგვინა გამარჯვებით თავისი მოქმედება—გაიყვანა ხულიგანები. ეს ვერაგობა ამნაირად მოხდა: სამაზრო კრება გლეხთა რწმუნებულებისა დაინიშნა 12 აპრილისათვის და წვრილ მემამულეთა და სამღვდელოებისა—18 აპრილისათვის. მაგრამ მეორე დღეს შიკრიკები აფრინეს—გლეხთა რწმუნებულების კრება ჩვიდმეტისთვის გადაიდვაო და ამავე შიკრიკებით ხულიგანი რწმუნებულნი 16 დაიბარეს თურმე და ამ დღისთვისვე ერთი ასეული კაზაკი იქნა მოწვეული ქუთაისიდან „ყოველ შემთხვევისთვის". 17 ავიდენ ს.-დ. რწმუნებულნი და პირკატა ნაცემი დარჩნენ. „ნუთუ ვერ გაიგეთ, კრება გუშინ მოხდაო—უპასუხეს—და ახლა ნურას უკაცრავათ, ისევ უკან მიბრძანდითო". აქეთ ეცენ, იქით ეცენ, ეგება რამეს გავხდეთო, მაგრამ ყველგან ცივი უარი მიიღეს—არაფერი არ იქნებაო. ასე და ამნაირად საუკეთესო ნაწილი ჩამოაშორეს, ბნელი შეიწვიეს და ვინც უნდოდათ ის აირჩიეს; გლეხებისაგან აირჩიეს ორი, ორივე მამასახლისობაში დაბერებულ-გაზრდილნი და მოგეხსენებათ, ამდენი ხნის ნამამასახლისევს რა სული ედინებათ. მაინც და მაინც არც სხვა ამომრჩევლებს უდით კაი სული. საბრალო ფედერალისტებს კი ერთი განგაში აუტეხიათ—რაჭაში ჩვენები გაეიდნენო. მაგრამ არა, პარტიის მათ არაფერი სცხიათ; ისინი არც ერთ „ისტებს" არ ეკუთვნიან თქვენდა საუბედუროთ ბ.ბ. ფედერალისტებო.

მიქარწმინდელი

სიღნაღი. სამ მაისს მოხდა არჩევნები სიღნაღის, ნუკრიანის და ჰოტორის მოქალაქეთა. დილიდანვე ხალხმა თავი მოიყარა მოედანზე და დაიწყეს სჯა-ბაასი ვინ აერჩიათ. დასახელებულნი იყვენ სამი. ამათში ერთი უნდა აერჩიათ. დასახელებული იყვენ კანდიდატებათ დ. ჯანდიეროვი (ავტონომისტი), ამირხანოვი (კადეტი) და დ. ნადირაშვილი (სოციალდემოკრატი). დილიდანვე მობრძანდენ აქაურნი განცხრომის შვილნი და ურჩევდენ ხალხს ამირხანოვი აერჩიათ, მაგრამ ბედმა უმტყუნათ. გაუგო თუ არა ხალხმა ეს ხრიკი, მოითხოვა აეხსნათ ამხანაგებს არჩევნების მნიშვნელობა. დაიწყო მიტინგი და გამოარკვიეს ქალაქის თავის ოინები. თურმე ჰოტორში და ნუკრიანში ნახევარი საარჩევნო ბარათები არ დაერიგებიათ. აშკარა იყო, რომ ეს ბურჟუების ოინები იყო, მათ უნდოდათ ხალხისთვის ხმა დაეკარგათ. კარგათ გამოარკვიეს ქალაქის თავის და ბურჟუების კავშირი. ეს ვერ მოითმინეს ალებმა და პოლიცია მოიწვიეს ორატორის დასაჭერათ, მაგრამ აქაც გაუცრუვდათ იმედი. ხალხმა ერთხმათ დაითხოვა პოლიციელი იქიდან და თავიანთი ლაპარაკი განაგრძეს. თერთმეტ საათზე გაუშვეს ხალხი საარჩევნო შენობაში. თურმე ნუ იტყვით, ბურჟუებს დილიდანვე იქ მოეყარათ თავი და ადგილი დაეჭირათ. თორმეტ საათზე გამოხურეს კარები, ამის შემდეგ ნება აღარა გაქვთო. ხალხმა ქალაქის თავი მოითხოვა და პასუხი მოსთხოვეს, რა იყო მიზეზი ამ გვარ ხრიკების. სხვათა შორის ერთმა ჰოტორელმა ს. დ. მიმართა ქალაქის თავს: განა არ გეყო რაც აქამდის გვატყუეთ, ხომ ხედავთ აღარ ვტყუვდებით, აღარ გვინდა თქვენი აპეკუნობაო.

ასეთი ხრიკები იხმარეს ჩვენმა ქალაქის ბურჯებმა, მაგრამ ამაოთ; ამორჩეულ იქნა დავით ნოდარის ძე ნადირაშვილი 196 ხმით. ეს ძალიან ეწყინათ ჩვენი ქალაქის ბურჯებს და ცდილობენ მის გაბათილებას და არჩევნების ხელ მეორეთ დანიშვნას, მაგრამ ტყუილი იმედი აქვთ.

არჩევნები ქუთაისში

9 მაისისთვის ქუთაისში დანიშნული იყო ქალაქის არჩევნები. წინანდელ არჩევნებზე შეძენილმა გამოცდილებამ ბევრი სარგებლობა მოუტანა ამრჩევლებს. პარტიები წინდაწინვე შეუდგენ თადარიგის დაჭერას. სოც. დემოკრატიულმა საარჩევნო კომისიამ წინადადება მისცა ფედერალისტების და კადეტების საარჩევნო კომისიებს გამოეყოთ თავიანთ წრიდან რამდენიმე კაცი, რომ მათ ეზრუნათ წესიერების დასაცველათ არჩევნების დროს. ამ წინადადებას ყველა პარტიებმა მხარი მისცა. ამ გვარათ შედგენილმა კომისიამ გაანაწილა ძალები, ზოგი ასისტენტებათ იქნენ დანიშნული ყუთებთან, ზოგი კი კარიდორში და შესავალ კარებთან იდგნენ და ხალხს თვალ-ყურს ადევნებდენ, რომ უწესობა რამ არ ჩაედინათ. ქალაქის სამკითხველოშიაც, სადაც შესასვლელ ბილეთებს არიგებდენ, ორი კაცი იდგა და ბიულეტენებიან პირებს საგიტაციოთ შიგ არ უშვებდენ...

არჩევნებს ქალაქის თავი არ დასწრებია, ავათმყოფობისა გამო. თავისი თანამდებობა ვლ. კანდელაკს გადასცა. ბ. კანდელაკმა განაცხადა: თუ არჩევნები კენჭის ყრით მოხდება მე თავმჯდომარეთ დავრჩები, თუ არა და მე კრებას არ დავესწრებიო. დიდი ვაივაგლახის შემდეგ როგორც იყო დაიყოლიეს ბ. ქალაქის გამგეობის წევრი კანდელაკი თავმჯდომარეთ დარჩენილიყო, ქალაქის თავის მაგიერ, თუმცა არჩევნების მოხდენა ბიულეტენებით გადაწყდა. დილის შვიდი საათიდან ქალაქის გამგეობის დარბაზს ხალხი მოაწყდა. შენობის კედლებზე გაკრული იყო საარჩევნო სია. სიებთან იდგენ რამდენიმე ახალგაზდა და ამომრჩევლებს ნომრებს აწვდიდენ ბილეთების ასაღებათ. ცხრა საათზე კრება გაიხსნა. ხალხი ნაწილ-ნაწილათ შედიოდა ქალაქის გამგეობის შენობაში ბიულეტენების ჩასაგდებათ. ხალხი ძალიან კმაყოფილი დარჩა იმ წესიერებით, რომელსაც პარტიების წარმომადგენლები იცავდენ არჩევნების დროს...

ჩვენმა ესერებმა არ დაივიწყეს თავიანთი ავანტიურისტობა. 12 ხმა გავრცელდა სოც.-რევოლიუციონერები წითელ დროშის აფრიალებას აპირებენო. არ გასულა სულ 15 წამი, რომ მართლაც რამდენიმე ახალგაზდა პირებმა, რომლის უმრავლესობას მოწაფეები შეადგენდენ, წითელი პლატოკი აუშვეს მაღლა. „дружно товарищи"-ს ორი სიტყვა არ ქონდათ ნათქვამი, რომ გაბრაზებული ამრჩევლები დაესიენ და დროშის წართმევა მოუნდომეს. ბევრი დამსწრეთაგანი უშლიდა, რომ თავი დაენებებიათ და გაეშვათ, მარა დარიგებამ ტყუილათ ჩაიარა. გაბრაზებულმა ამრჩევლებმა დროშა მთლათ დაუფლითეს და, როგორც ამბობენ ბევრი სცემეს საცოდავ სოც. რევოლიუციონერების მედროშეს. ეს ამბავი ქალაქის გამგეობის შენობის წინ ქუჩაზე მოხდა. შიგნით წესიერება არ დარღვეულა. ამ ინციდენტით დამფრთხალმა, ბევრმა ამრჩევლებმა მიატოვა შესავალი ბილეთების აღება და სახლებში წავიდ-წამოვიდენ, მით უმეტეს, რომ ხმა გავრცელდა კაზაკები მოვლენო. კაზაკები მართლაც რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოჩნდენ, თუმც უწესობა არაფერი ჩაუდენიათ, მაგრამ მას უკან ხალხი ძალიან ძვირათ მოდიოდა ყუთებთან. ჩვენი ფედერალისტები ძაან გახარებულნი იყვენ, თითო ოროლა ბობოლა ინტელიგენტების მოყვანა რომ მოახერხეს არჩევნებზე.

საღამოს ცხრა საათზე ბიულეტენების მიღება შეწყდა. ყუთებთან დააყენეს რამოდენიმე მარჯვე პირები პარტიებიდან, გარედან კი შენობას საერობო დარაჯები იცავდენ. როგორც კომისიის წევრებმა გადმოგვცეს, სულ 1,900 ამომრჩეველი მოსულა კრებაზე 7,000-სიდან.

დათიკო.

მუშათა შორის

სირაჯხანის სარდაფის მოსამსახურეები. რეაქციასთან ერთად ჩვენი ხაზეინებიც გათამამდენ და ჩვენც ისევ ძველს აუტანელ მდგომარეობაში ჩავცვივდით. დილის 5 საათიდან მოკიდებული ღამის თორმეტ საათამდის დაუსვენრათ ფეხზე გვატრიალებენ და დაღალულ-დაწუშვეტილებს ღამითაც ცივ, ნოტიო და დახშულ სარდაფებში გვაძინებენ. კვირა დღესაც კი არა გვაქვს თავისუფლება და მოსვენება, როგორც ყველა მუშა კაცს. ამნაირათ ჩვენ სიცოცხლეს განუწყვეტლათ დღე და ღამ სულ ამ სარდაფებში ვატარებთ. ამას წინათ ჩვენ სირაჯხანის და მის გარშემო სარდაფების მოსამსახურეებმა მოვთხოვეთ ჩვენ ხაზეინებს, რომ 1) კვირაობით მუშაობიდან გაგვანთავისუფლონ, 2) კვირაობით პურის ფულათ ათი შაური და ორი ბოთლი ღვინო მოგვცენ, 3) სარდაფები დილით ექვს საათზე გააღონ და ღამით ცხრა საათზე დაკეტონ, 4) ღამით სარდაფებში ნუ დაგვაძინებენ და ცალკე ოთახები დაგვიქირაონ, 5) მოსამსახურის დათხოვნა ხაზეინმა სხვა მოსამსახურეების დაუკითხავათ არ გაბედოს. ბევრი ხაზეინი დაგვპირდა ჩვენ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მაგრამ თითო-ოროლა კი გაცხარდა ჩვენ სამართლიან ხმას ამოღებაზე და ჯაშუშობასაც კი არ მოერიდა. სამმა მათგანმა, სახელდობრ: ანტონ კანდიძემ, მიხეილ ივანოვმა, და დანიელ ვარსიმოვმა კვირას, 7 მაისს, ჩვენი ამხანაგები და თავიანთი მოსამსახურეები პოლიციაში დააჭერინეს იმ მიზეზით, რომ ჩვენ ამ დღეს სარდაფებში აღარ ვიმუშავეთ. ჩვენ ზიზღს უცხადებთ ამ ვაჟბატონებს ასეთი საქციელისათვის და უკეთუ უკვე განთავისუფლებული ჩვენი ამხანაგები ან დაითხოვეს, და ან კიდევ დააჭერინეს, ჩვენც შესაფერ ზომებს მივმართავთ.

მუშა.

უცხოეთი

„ფორვერტსი"-ს აზრი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ. გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ ორგანოს აზრით სახელმწიფო სათათბიროს გახსნით ახალი ხანა იწყება რუსეთის რევოლიუციაში. აი რას სწერს „ფორვერტსი":

როგორც 1789 წელს საფრანგეთში მოწვეულმა გენერალურმა შტატებმა აამოძრავა რევოლიუცია, აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროს გახსნას უნდა მოჰყვეს ახალი ხანა რევოლიუციისა. რა გზასაც უნდა აირჩიოს სათათბიროს უმეტესობამ, გულის სიღრმემდე აღშფოთებული ხალხი რუსეთის არავითარი კომპრომისებით არ მოსტყუვდება. სათათბიროს უკიდურეს მემარცხენეთა ფრთას უკან დარაზმული სდგას რევოლიუციური პროლეტარიატი და გლეხ-კაცობა, რომელთაც ვერ დააკმაყოფილებს ვერავითარი უმნიშვნელო დათმობა, არამედ მხოლოდ ძირითადი ცვლილება სოციალ-,პოლიტიკურ დამოკიდებულებისა. საკმარისია სათათბიროს მოქმედებას დაეტყოს თუნდ სრულიად მკრთალი ელფერი ხალხის ინტერესების დაცვისა, რომ რევოლიუციის ალმა გაორკეცებულის ძალით ამოხეთქოს. დიახ, უნდა ველოდეთ, რომ რუსეთის ხალხის დაუშრეტელი რევოლიუციური ენერგია სათათბიროს წინ გაიტაცებს! სათათბიროს გახსნის კომედიას მალე თან მოჰყვება ულმობელი დრამა რევოლიუციისა. შავ-ბნელი რეაქციის ტლანქი ხელი იმდენ ხანს აწვა ლოდივით რუსეთის ორგანიულ განვითარებას, რომ გადაჭრით შეიძლება ითქვას: რუსეთის რევოლიუციის უკანასკნელი აქტი არ იქნება ტკბილი და მშვიდობიანი.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო).

10 მაისი.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბირო. დღეს დილის სხდომაზე გადასწყვიტეს, გაასწრიგონ ადგილები სხდომის დარბაზში. დეპუტატებს ჯგუფებათ დაყოფენ. თვითოეული ჯგუფი აირჩევს ბიუროს, რომელიც თავიანთ ჯგუფის დეპუტატებს დაუნიშნავს ადგილებს. ასე, რომ შემდეგ სხდომაზე პარტიებს თავთავისი ადგილები ექნება. სათათბიროს ყველა წევრებს დაურიგდათ ფურცლები, სადაც თვითეულმა უნდა ჩასწეროს თავისი სახელი, წოდება, წლოვანება და დაწვრილებით თავისი ბიოგრაფია, რადგან სახელმწიფო სათათბიროს სახსოვრათ გამოსცემენ წიგნაკს, სადაც მოთავსებული იქნება ყველა ეს ცნობები. ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლების და მათი სათათბიროში ადგილის შესახებ საკითხი შემდეგი სხდომისათვის გადაიდო. სათათბიროს 11 განყოფილების სხდომა, რომელსაც არჩევნების წესიერათ მოხდენის შესახებ საკითხი უნდა განეხილა, დღის 2 საათზე დაიწყო. განყოფილებები სხვა და სხვა დარბაზებში ახდენენ სხდომებს. მათი სხდომები დახურულ კარებში ხდება. შედეგებს შემდეგ საზოგადო კრებაზე გამოაცხადებენ, რომელიც პარასკევს 11 საათზე მოხდება. როგორც ამბობენ არჩევნების უმრავლესობა დაუმტკიცებიათ. წარმოდგენილია 75 ოლქის არჩევნების მთელი საქმეები. გრედესკულის არჩევის შესახებ, ხარკოვიდან, ვერაფერ აზრს დასდგომიან, ერთი მხრით ვითომ გრედესკული დაჭერილი იყო და არჩევნების უფლება არ ქონდათ და მეორე მხრით კი მისი დაჭერა ადმინისტრატიული იყო და არა სასამართლოს განაჩენით და ამიტომ სრული უფლება ქონდათო. ჯერ ეს საკითხი არ გადაწყვეტილა. დიდი ეჭვი აღძრა ტამბოვის გუბერნიის არჩევნებმა, სადაც ადმინისტრაციის ზეგავლენით მოხდა არჩევნები; მოგილევის გუბერნიის არჩევნები უთუოთ გაბათილდება. განყოფილებები დიდი ყურადღებით იკვლევენ, სად როგორ მოხდა არჩევნები. როგორც მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ტენისონის არჩევა ლიფლიანდიის გუბერნიაში. ტენისონი ერთხმათ არჩეულ იქნა, მაგრამ თავმჯდომარემ დანიშნულ დროზე ორი საათით ადრე გახსნა კრება. იმ განყოფილებამ, სადაც ეს არჩევნები განიხილეს, მოახსენა სათათბიროს, შენიშვნა მისცეს თავმჯდომარეს, თუმცა კრების უდროოთ გახსნას არავითარი გავლენა არ ქონია.

ლაპარაკი გამოიწვია აგრეთვე ნიჟეგოროდის და პოლტავის გუბერნიის არჩევნებმა, საიდანაც პროტესტები განაცხადეს.

პეტერბურგი. კორნეტ ოკუნევს, რომელმაც 1 იანვარს სტუდენტი დავიდოვი მოკლა, სასამართლომ ოთხი წლით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა.

ეკატერინოსლავი. გუბერნატორის განკარგულებით ექიმი კრანცფელდი და კუშჩი, რომლებსაც გადასახლება ქონდათ გადაწყვეტილი, განთავისუფლეს.

პერმი. განთავისუფლეს 44 პოლიტიკური ტუსაღი.

სარატოვი. ციმბირსა და არხანგელის გუბერნიაში 10 გლეხი გაგზავნეს აგრარულ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის.

ვასილიევი. განთავისუფლეს ხუთი გლეხი, რომლებიც აგრარულ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდენ.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს ერთმა ჯგუფმა თავ. ტრუბეცკოის თაოსნობით გადაწყვიტა პირველათვე შემდეგი საკითხები წამოაყენოს: აგრარული, გლეხთა, სახალხო განათლების და გადასახადების. ამ აზრით ჯგუფმა უკვე განცხადება შეიტანა საბჭოს თავმჯდომარის სახელობაზე და წინადადება მისცა შეადგინოს საჭირო კომისია.

პეტერბურგი. სათათბირომ გადასწყვიტა, 11 მაისიდან დააარსოს საკუთარი ბიბლიოთეკა-სამკითხველო და ამისთვის საჭირო 100—200 ათასი მანეთი გადადოს სათათბიროსთვის გადადებულ თანხიდან. აირჩიეს კომიტეტი 22 კაცისაგან, რომლებმაც უნდა მოაწყოს ფოსტა-ტელეგრაფის საქმეები ისე, როგორც ეს დასავლეთ-ევროპაშია. აგრეთვე აირჩიეს განსაკუთრებული კომისია სანიტარული და სამეურნეო საქმეების მოსაწესრიგებლათ; მიეცეს 7 ოთახი თვითოეულ პარტიებს თავიანთ პარტიულ საქმის საქმეებისთვის.

ეკატერინოსლავი. ქარხაში სასიკვდილოთ დასჭრეს ტუსაღთა განყოფილების უფროსი. მკვლელი მიიმალა.

მინსკი. განთავისუფლეს 6 პოლიტიკური ტუსაღი.

მოსკოვი. შიპოვმა 17 ოქტომბრის კავშირის კომიტეტის თავმჯდომარეობაზე უარი განაცხადა. ის უარს ყოფს იმ ხმას, ვითომ ის 17 ოქტომბრის კავშირიდან გამოვიდა და კადეტების პარტიაში გადადის.

10 მაისს, რეზნის მანუფაქტურის 800 მუშა გაიფიცა.—ჩრდილოეთისკენ 300 პოლიტიკური ტუსაღი გაგზავნეს.

ფეოდოსია. დროებით გენ.-გუბერნატორმა გაზ. „ჟიზნ კრიმა" დახურა.

ადესა. სათადარიგო ჯარის-კაცების ცოლებმა ხელმეორეთ დიდი არეულობა მოახდინეს. საბჭოს სახლის ფანჯრები ქვებით ჩაამტვრიეს. დაჭრილია თავში ერთი კაზაკი.—ბევრ ტიპოგრაფიებში რვა საათის სამუშაო დღე შემოიღეს.

ვორონეჟი. სატუსაღოში მხოლოდ 45 პოლიტიკური ტუსაღი დარჩა, დანარჩენები განთავისუფლეს.

ტულა. განთავისუფლეს 2 პოლიტიკური ტუსაღი.

ყაზანი. განთავისუფლეს 8 პოლიტიკური ტუსაღი.

კიევი. მემარჯვენეთა პარტიები აგიტაცი ეწევიან სიკვდილით დასჯა არ გაუქმდეს. ამნისტიის წინააღმდეგ კრებებს მართავენ და თხოულობენ სათათბიროს დათხოვას, სამხედრო დიქტატურის შემოღებას და მოუწოდებენ ყველ რუსებს დაიცვან თავიანთი ნაციონალური ინტერესები.

ტაშკენტი. აღმოაჩინეს საიდუმლო სტამბა, რომელიც ერთი წელიწადია არსებობდა. დაიჭირეს სამი, ყალბი პასპორტებით.

რიგა. მაზრაში ღამით გაძარცვეს ფოსტის განყოფილება.

პეტერბურგი. სათათბიროს მიერ აღძრულ და საპასუხო ადრესში მოთავსებული სრულ პოლიტიკურ ამნისტიის შესახებ საკითხი, რომელსაც ზოგიერთმა რუსეთის ჟურნალ-გაზეთებმა დაუჭირეს მხარი, რუსეთის საზოგადოების ყველა წრეებში ვერ იწვევს თანაგრძნობას. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის მოვლენა, რომ მცხოვრებთა სხვადასხვა კლასებში დიდ წინააღმდეგი მიმდინარეობაა ამნისტიის შესახებ. სხვადასხვა საზოგადოების ჯგუფებს საბუთათ ის მოყავთ, რომ პოლიტიკურ მკვლელობას ბოლო არ ედება, დეპეშებს ყოველ დღე ცნობები მოაქვთ ესა და ეს თანამდებობის პირი დასჭრეს, ესა და ეს მოკლეს, ამ მდგომარეობაში, მთავრობას არ შეუძლია ხელი შეუწყოს ტერორისტულ ორგანიზაციებს და მათ მშვიდობიანი ხალხი განსაცდელში ჩააგდოს, არ შეუძლია სამართალში არ მისცეს ტერორისტები და ყუმბარის მსროლელნი, არ შეუძლია განანთავისუფლოს ის პირნი, რომელნიც სასამართლოს გადაწყვეტილებით დასჯილნი არიან. პოლიტიკურ და სისხლის სამართლის დანაშაულობებისთვის. რაც შეეხება იმათ რომლებიც ადმინისტრატიულ წესით არიან დატუსაღებულნი, ზოგი განთავისუფლეს და დანარჩენებსაც, როცა დაწვრილებით გამოიკვლევენ მათ დანაშაულობას განთავისუფლებენ. ყველა ადმინისტრატიულათ დასჯილ პოლიტიკურ ტუსაღის განთავისუფლება კი განსაკუთრებული და სამხედრო წესების სრული გაუქმება იქნება, განსაკუთრებით და სამხედრო წესების გაუქმებას ბის გადაშენჯვას განაპირა ქვეყნების მდგომარეობა სრულებით ხელს არ უწყობს.

გროდნო. გუშინ წიგნების საკაზმავ ქარხნის პატრონ ზარანის ბინაზე ყუმბარა გადაისროდეს. არავინ დაშავებულა. მსროლელი მიიმალა. ეჭვი გაფიცულ მუშებზე აქვთ.

იაროსლავი. სპინქის ქარხანაში მუშაობა დაიწყო. უმუშევართა რიცხვი 500-მდეა.

ქუთაისი. ქუთაისის სატუსაღოში კატორღელების კამერიდან გასვლის დროს ერთმა ტუსაღმა მოკლა სატუსაღოს ნადზირატელი.

ბელასტოკი. შუაგულ ქალაქში მეილიხის ბანკის კანტორას თავს დაესხნენ 6 შეიარაღებული მძარცველები, დასჭრეს გოროდოვოი და კანტორის თოფები ცოტა წაიღეს. მძარცველთაგან ერთი დაიჭირეს, რომელსაც წაღებული თოფები და შეიარაღება აღმოაჩნდა.

უფა. გადაიწვა კუსინის ქარხანა. 6000 კაცი უსახლკაროთ დარჩა.

ადესა. „ადესის ლისტოკ" სტამბაში დაიჭირეს ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალური კავშირის მდივანი, რომელიც ასოთ-ამწყობებს მოუწოდებდა ეკონომიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამ ამბის გამო ასოთ-ამწყობები გაიფიცნენ. გაზეთი 11-ს არ გამოსულა. ასოთ-ამწყობების მოთხოვნით მდივანი განთავისუფლეს და მუშაობა დაიწყეს.

„ლამპარი"-ს ფოსტა.

აბაშა. პარიკმახერ ბოლქვაძეს. პირობები გაზეთში გვაქვს გამოცხადებული. მანდ ჩვენი აგენტი არის ბკუასელი.

რედაქტორ-გამომცემელი კ. თავართქილაძე

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა". ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 65.